საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2634 2020 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №650 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს მიეცეს წინასწარი თანხმობა, სერვერის მეხსიერების მოდულის შესყიდვის მიზნით, თანმდევი მომსახურებების გათვალისწინებით (CPV 48800000), სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების

შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის“ სახელმწიფო პროგრამით (პროგრამული კოდი - 27 01 03) გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**